ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

განკარგულება:**g-37. 37230805**
თარიღი:**21/03/2023**

განკარგულება N19

21 მარტი 2023 წელი

ქ. ოზურგეთი

ქალაქ ოზურგეთის გენერალური გეგმის შემუშავების დაწყების თაობაზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის (შეთანხმების) შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს 43-ე მუხლის მე-3 ნაწილის და „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ქალაქ ოზურგეთის გენერალური გეგმის შემუშავების დაწყების თაობაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილება შეთანხმებული (მოწონებული) იქნეს და მიეცეს თანხმობა. (დანართი თან ერთვის).

მუხლი 2. ამ განკარგულების პირველი მუხლით გათვალისწინებული გენერალური გეგმის შემუშავების მიზნით განხორციელდეს: გეგმარებითი ერთეულის კვლევა, დაზუსტდეს გეგმარებითი ერთეული, შემუშავდეს განვითარების ხედვა და სტრატეგია, განხორციელდეს მათი სიცოცხლისუნარიანობის შეფასება, აგრეთვე, განისაზღვროს გეგმის პროექტების შემადგენლობა, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული დოკუმენტაციის შემუშავებისა და შესრულების ვადები.

მუხლი 3. მიღებული განკარგულება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14).

მუხლი 5. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი